# შპს „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 599 758

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინას“ (ს/კ 245 599 758), დამფუძნებლებს.

## აუდიტორული დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში „ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტური 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 701 ათასი ლარის ღირებულების სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალურ ნაშთზე, რადგან ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაფარვა პირველადი დოკუმენტის საფუძველზე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით.

AUDIT FIRM BAKASHVILI AND COMPANY
ბაკაშვილი და კომპანია
აუდიტორული ფირმა

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
E-mail: contact@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264

0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

www.bakashviliandco.com

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინას" (ს/კ 245 599 758), დამფუძნებლებს.

### აუდიტორული დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინას" (შემდგომში „კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი"-ს ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში „ფასს სტანდარტები") შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტური 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 701 ათასი ლარის ღირებულების სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალურ ნაშთზე, რადგან ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაფარვა პირველადი დოკუმენტის საფუძველზე. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან  დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### მმართველობითი ანგარიში

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე. კომპანიის მიერ 2023 წლის 19 იანვარს დათარიღებულ 2021 წლის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე  გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“ - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშში გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
E-mail: contact@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### მმართველობითი ანგარიში

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე. კომპანიის მიერ 2023 წლის 19 იანვარს დათარიღებულ 2021 წლის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე გარდა ჩვენი დასკვნის - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე" - ნაწილში აღწერილი საკითხებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშში გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.



CERTIFIED ISO 9001:2015 COMPANY
საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Independent member Morison Global

*თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნცქიონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

## აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
E-mail: contact@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით, ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

**აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.



საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Independent member
Morison Global

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება ჩეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირება.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
E-mail: contact@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება ჩეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირება.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან, ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით



საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Independent member
Morison Global

*თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ჩვენ ასევე გადავცემთ ხელმძღვანელობას ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ანგარიშს დამოუკიდებლობის შესახებ, ასევე ვაცნობთ ყველა სახის საკითხს, რომელთაც შესაძლოა, პრობლემა შეუქმნას დამოუკიდებლობას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას მივაწვდით სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისთვის გაცნობილი საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ჩვენ მათ აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, თუ კანონით, ან რომელიმე რეგულაციებით არ არის შეზღუდული მათი გასაჯაროება, იშვიათად კი, შესაძლოა ესა თუ ის საკითხი დასკვნაში არ მოვიხსენიოთ, რადგან ამ ქმედების შესაძლო არასასურველმა შედეგმა შესაძლოა გადაწონოს საჯარო ინტერესი.


*თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
E-mail: contact@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264
www.bakashviliandco.com
0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ჩვენ ასევე გადავცემთ ხელმძღვანელობას ეთიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე ანგარიშს დამოუკიდებლობის შესახებ, ასევე ვაცნობთ ყველა სახის საკითხს, რომელთაც შესაძლოა, პრობლემა შეუქმნას დამოუკიდებლობას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას მივაწვდით სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისთვის გაცნობილი საკითხებიდან ჩვენ განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ჩვენ მათ აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, თუ კანონით, ან რომელიმე რეგულაციებით არ არის შეზღუდული მათი გასაჯაროება, იშვიათად კი, შესაძლოა ესა თუ ის საკითხი დასკვნაში არ მოვიხსენიოთ, რადგან ამ ქმედების შესაძლო არასასურველმა შედეგმა შესაძლოა გადაწონოს საჯარო ინტერესი.



საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15
Independent member
Morison Global

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2022 წლის 17 ნოემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს გიორგი გულუა, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-106751.

გიორგი გულუა

აუდიტორული ფირმა ,,ზაკაშვილი და კომპანია“  (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global”-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში

რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

19 იანვარი, 2023 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

AUDIT FIRM BAKASHVILI AND COMPANY
ბაკაშვილი და კომპანია
აუდიტორული ფირმა

Tel.: (+995 32) 2 399 112, (+995 32) 2 399 113
E-mail: contact@bakashviliandco.com
SARAS - F - 887264

www.bakashviliandco.com

0160 საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 47,ბ. 10
47. Al Kazbegi Ave. fl. 10, 0160 Tbilisi, Georgia
ს/კ / ID 211356922

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2022 წლის 17 ნოემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით („კანონი") განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში აუდიტის გარიგების პარტნიორს წარმოადგენს გიორგი გულუა, აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-106751.

გიორგი გულუა

აუდიტორული ფირმა ,,ბაკაშვილი და კომპანია" (ს/კ 211 356 922)

საერთაშორისო აუდიტორული ასოციაციის „Morison Global"-ის დამოუკიდებელი წევრი საქართველოში

რეესტრში სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-887264

19 იანვარი, 2023 წელი

ქ. თბილისი, საქართველო



საგადასახადო აუდიტი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება, აქტივების შეფასება.
Tax audit, Financial Statement Audit, Accounting, Assets Valuation.
ISO 31400081 QM15

Independent member
Morison Global

თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | შენიშვნები | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|---|
| ძირითადი საშუალებები | **7** | 18,174 | 18,710 |
| არამატერიალური აქტივები | **-** | 83 | 84 |
| გრძელვადიანი გადახდილი ავანსები | **-** | 649 | 477 |
| საინვესტიციო ქონება | **6** | 2,146 | 2,212 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები:** | | **21,052** | **21,483** |
| მარაგები | **8** | 720 | 487 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | **9** | 2,920 | 3,476 |
| მიმდინარე ავანსები | **-** | 23 | 168 |
| საგადასახადო აქტივი | **13** | - | 199 |
| მიმდინარე სასესხო მოთხოვნები | **-** | 5 | 34 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | **10** | 124 | 431 |
| **სულ მიმდინარე აქტივები:** | | **3,792** | **4,795** |
| **სულ მთლიანი აქტივები:** | | **24,844** | **26,278** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები:** | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| მფლობელთა საწესდებო კაპიტალი | **11** | 11,266 | 11,266 |
| გადაფასების რეზერვი | **-** | 8,977 | 8,977 |
| აკუმულირებული ზარალი | **-** | (1,621) | (2,067) |
| **სულ კაპიტალი:** | | **18,622** | **18,176** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| გრძელვადიანი მიღებული ავანსები | **-** | 563 | 1,092 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება | **14** | 293 | 635 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:** | | **856** | **1,727** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | **12** | 4,081 | 5,049 |
| მიღებული ავანსები | **-** | 691 | 799 |
| საგადასახადო ვალდებულება | **13** | 289 | 221 |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულება | **14** | 305 | 306 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **5,366** | **6,375** |
| **სულ ვალდებულებები:** | | **6,222** | **8,102** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები:** | | **24,844** | **26,278** |

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 19 იანვარს.

დირექტორი: ირის ბორჩაშვილი --------------------------

მთ. ბუღალტერი: ნარგიზ ტრაპაიძე --------------------------

შპს ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა (245 599 758)
2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური ანგარიშგება
თანხები მოცემულია 1000 ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | შენიშვნები | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|---|
| ძირითადი საშუალებები | 7 | 18,174 | 18,710 |
| არამატერიალური აქტივები | - | 83 | 84 |
| გრძელვადიანი გადახდილი ავანსები | - | 649 | 477 |
| საინვესტიციო ქონება | 6 | 2,146 | 2,212 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | 21,052 | 21,483 |
| მარაგები | 8 | 720 | 487 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 9 | 2,920 | 3,476 |
| მიმდინარე ავანსები | - | 23 | 168 |
| საგადასახადო აქტივი | 13 | - | 199 |
| მიმდინარე სასესხო მოთხოვნები | - | 5 | 34 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 10 | 124 | 431 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | 3,792 | 4,795 |
| **სულ მთლიანი აქტივები** | | 24,844 | 26,278 |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **კაპიტალი** | | | |
| მფლობელთა საწესდებო კაპიტალი | 11 | 11,266 | 11,266 |
| გადაფასების რეზერვი | - | 8,977 | 8,977 |
| აკუმულირებული ზარალი | - | (1,621) | (2,067) |
| **სულ კაპიტალი** | | 18,622 | 18,176 |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| გრძელვადიანი მიღებული ავანსები | - | 563 | 1,092 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება | 14 | 293 | 635 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | 856 | 1,727 |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 12 | 4,081 | 5,049 |
| მიღებული ავანსები | - | 691 | 799 |
| საგადასახადო ვალდებულება | 13 | 289 | 221 |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულება | 14 | 305 | 306 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | 5,366 | 6,375 |
| **სულ ვალდებულებები** | | 6,222 | 8,102 |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | 24,844 | 26,278 |

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 19 იანვარს.

დირექტორი: ირის ბორჩაშვილი ------------------------------

მთ. ბუღალტერი: ნარგიზ ტრაპაიძე ------------------------------



თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## სრული შემოსავლის ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | შენიშვნები | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|---|
| შემოსავალი მომსახურებიდან | **15** | 11,716 | 12,624 |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება | **16** | (9,715) | (10,182) |
| **საერთო მოგება:** | | **2,001** | **2,442** |
| ადმინისტრაციული ხარჯები | **17** | (2,321) | (2,163) |
| გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი | **-** | (61) | (75) |
| საოპერაციო ხარჯები | **-** | - | (10) |
| **შედეგი საოპერაციო მოგებიდან:** | | **(381)** | **194** |
| არასაოპერაციო შემოსულობა | **18** | 173 | - |
| არასაოპერაციო ხარჯი | **18** | (188) | (106) |
| ფინანსური შემოსავალი | **19** | 896 | 702 |
| ფინანსური ხარჯი | **19** | (54) | (652) |
| **წმინდა ფინანსური ხარჯი** | | **827** | **(56)** |
| **მოგება/ზარალი დაბეგვრამდე** | | **446** | **138** |
| მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი | | - | - |
| **მოგება დაბეგვრის შემდგომ** | | **446** | **138** |
| სხვა სრული შემოსავალი | | **-** | **-** |
| **სრული შემოსავლის წლიური ჯამი** | | **446** | **138** |


*თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | საწესდებო კაპიტალი | აქტივების გადაფასების რეზერვის ზრდა | გაუნაწილებელი მოგება | სულ საკუთარი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **31.12.2019** | **12,766** | **8,977** | **(2,205)** | **19,538** |
| კაპიტალის შემცირება | (1,500) | - | - | (1,500) |
| სრული შემოსავლის წლიური ჯამი | - | - | 138 | 138 |
| დივიდენდები | - | - | - | - |
| **31.12.2020** | **11,266** | **8,977** | **(2,067)** | **18,176** |
| კაპიტალის შემცირება | - | - | - | - |
| სრული შემოსავლის წლიური ჯამი | - | - | 446 | 446 |
| დივიდენდები | - | - | - | - |
| **31.12.2021** | **11,266** | **8,977** | **(1,621)** | **18,622** |


*თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება
## 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| | შენიშვნები | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვები | | 12,001 | 13,211 |
| მომწოდ/თანამშ. გადახდილი ფულადი სახსრები | | (4,789) | (3,818) |
| გაცემული ავანსები | | (16) | (75) |
| მიღებული ავანსები | | 54 | 106 |
| სხვა ხარჯები | | (4) | (13) |
| საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები | | **7,246** | **9,411** |
| გადახდილი პროცენტები | | (41) | (180) |
| გადახდილი ხელფასები | | (4,909) | (4,818) |
| საგადასახადო გადასახდელები | | (1,229) | (874) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **1,067** | **3,539** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა/კაპიტალიზება | | (1,100) | (2,008) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა | | - | - |
| მიღებული დივიდენდები | | - | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **(1,100)** | **(2,008)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| საწესდებო კაპიტალის შემცირება | | - | (1,354) |
| სასესხო ვალდებულების ზრდა | | - | 158 |
| გასავალი სესხის დასაფარად | | (288) | (242) |
| თანამშრომლებზე გაცემული სესხის დაბრუნება | | 18 | - |
| თანამშრომლებზე გაცემული სესხი | | (1) | (5) |
| მიღებული პროცენტები | | - | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | **(271)** | **(1,443)** |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა** | | **(304)** | **88** |
| კურსთა შორის სხვაობა | | (3) | 39 |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდა** | | **(307)** | **127** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში: | | **431** | **304** |
| | | **124** | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს: | | | **431** |


*თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა" (შემდგომში „კომპანია") დაფუძნდა 2007 წლის 31 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, მაზნიაშვილის ქ. N18, ხოლო ფაქტიურს: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. N 237. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 245 599 758.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული დამფუძნებელი (100 %-ნი წილის მფლობელი და დირექტორი) ირის ბორჩაშვილი (პ/ნ 08001000234). კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 12 266 ათას ეროვნულ ლარს.

**(ა) კომპანიის ძირითადი საქმიანობა:** კომპანია არის კერძო მფლობელობაში მყოფი, მრავალპროფილური სტაციონალური სამედიცინო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრს ძირითადი შემოსავლების წყაროებთან ერთად, დაწყებული სამეანო, კარდიოლოგიური და ქირურგიული მომსახურების უზრუნველყოფით.

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

**(ა) წარდგენის საფუძვლები.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს სტანდარტები") შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს" ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

**(ბ) შეფასებებისა და მსჯელობის გამოყენება.** ფინანსური ანგარიშგების ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

**(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“).** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

## *3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა*

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

### აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება, ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა, ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

**ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა.** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

**ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება.** უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| გაცვლითი კურსები: | საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში | |
|---|---|---|
| | აშშ დოლარი | ევრო |
| გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 3,0976 | 3,5040 |
| საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის | 2,9307 | 3,3371 |

**საინვესტიციო ქონება.** საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს ან შენობას ან შენობის ნაწილს, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღებას ან კაპიტალის შეფასებას და არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ, ასევე არ ხდება მისი გაყიდვა ბიზნესის საწარმოო ციკლში. საკუთრება, რომელიც შენდება მომავალი მოხმარებისთვის, კლასიფიცირდება როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლების მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგრო-ვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2020 წლის ბოლოს კომპანიამ განსაზღვრა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, როლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავ.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

| **ჯგუფი** | **სასარგებლო მომსახურების ვადა** |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 13-დან 50 წლამდე |
| მანქანა -დანადგარები | 5-დან 13 წლამდე |
| საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | 3-დან 8 წლამდე |
| მსუბუქი ავტომობილები | 7-დან11 წლამდე |

**არამატერიალური აქტივები.** კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 15 წლის გაანგარიშებით.

## ფინანსური ინსტრუმენტები

**i) ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება.** თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თადაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან") განსაზღვრული გარიგების ფასი.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს" (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა, ჩვეულებრივი საქიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

**ფინანსური აქტივები შემდგომი შეფასება.** ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ქვემოთ აღწერილ კლასიფიკაციაზე:

**ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.** სამართლიანი ღირებულების ფინანსური აქტივები მოიცავს გასაყიდად გამიზნულ და თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით მოგებაში, ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია გასაყიდად, თუ ისინი შეძენილია გასაყიდად, ან გადასაყიდად უახლოეს მომავალში.

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება მოგებაში, ან ზარალში გადაიტანება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებად, მასთან დაკავშირებული ცვლილების საფინანსო შემოსავლად, ან ხარჯად აღიარებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.** გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკს და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

**ii).ფინანსური ვალდებულებები**

**თავდაპირველი აღიარება და შეფასება.** ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველად აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

**ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება.** ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

**სავაჭრო ვალდებულებები და სესხები.** თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის, ან ნამეტი თანხის, აგრეთვე საკომისიოების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

**ვალდებულების აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

**მარაგები.** მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით და მოიცავს მარაგების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება.** ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი". ეს ანაცვლეს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს". ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შაფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი" აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი" მეორე კატეგორიით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

**სახელმწიფოსგან მისაღები თანხები.** კომპანია მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, საიდანაც ფორმირდება სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნულ მოთხოვნებს გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებელი, რომელიც განსხვავდება კომპანიის სხვა დებიტორებისგან. აღნიშნული ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის არსებითობის გათვალისწინებით, კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე მთავრობისგან მისაღებ თანხებს.

**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.** ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

**საწესდებო კაპიტალი.** საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის შენატანის რეალურ ღირებულებას შეტანის მომენტისთვის.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

**დივიდენდების განაწილება.** დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

**ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

**ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.** ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას

გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა

**შემოსავლების და ხარჯის აღიარება.** შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

**შემოსავლების აღიარება.** შემოსავლები და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით გადასახადების, მოსაკრებლების და ფასდათმობების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის, ექსპორტის, საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციზის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

**საქონლის გაყიდვა.** გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის

ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები 14 დღიანი საკრედიტო პირობით ხორციელება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია. მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

**დაფინანსების კომპონენტები.** კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, სადაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, კომპანია ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად არ აკორექტირებს ოპერაციის ფასებს.

**საპროცენტო შემოსავალი.** საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავალი/ხარჯი (ნეტო)-ს“ მუხლში.

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

**გადახდილი ავანსები.** გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კოპმანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში,

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

**დასაქმებულთა გასამრჯელოები.** გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმალობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიაში დასაქმებული პირები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

**იჯარა.** საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელი გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელები მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

ფინანსური იჯარის შემთხვევაში ყოველი საიჯარო გადასახდელის განაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის (პროცენტი) დარიცხვა მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდაგვარად რომ გამოყენებული იყოს მუდმივი განაკვეთი საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ბალანსთან მიმართებაში. იჯარის ფარგლებში მიღებული ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადისა და აქტივის სასიცოცხლო ხანგრძლივობის შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

**ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

## 4. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვა განსჯის საკითხია და ეფუძნება ანალოგიურ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

**საეჭვო ვალების რეზერვი.** კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ საეჭვო ვალების წარდგენილი მონაცემები 67 ათასი ლარი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის (41 ათასი ლარი - 2020 წლის 31 დეკემბერი) წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას.

**საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

**სასამართლო დავები.** კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

## 5. ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს სტანდარტები და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

**ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2020 წლის 01 იანვრიდან.**

ახალ სტანდარტებსა და შესწორებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2020 წელს, არ მოუხდენია არსებითი გავლენა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, არც კოვიდ 19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებულ შეღავათებს (ფასს 16-ის შესწორება):

- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები;
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის შესწორება);
- არსებითობის განსაზღვრება (ბასს-1 და ბასს 8-ის შესწორებები);
- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმა (ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები);
- კოვიდ 19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები (ფასს 16-ში შესწორება).

**სტანდარტები, შესწორებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და არ არის ნაადრევად გამოყენებული კომპანიის მიერ:** ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოქვეყნებულია გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა არ მოელის რომ ამ სტანდარტების მიღებას ექნება არსებითი გავლენა მომავალი წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 6. საინვესტიციო ქონება

| | შენობა-ნაგებობა |
|---|---|
| **2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **-** |
| შესყიდვები/ კაპიტალიზაცია | **2,280** |
| გადაფასების კორექტირება | - |
| ცვეთის ანულირება | - |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,280** |
| შესყიდვები/ კაპიტალიზაცია | **-** |
| გადაფასების კორექტირება | - |
| ცვეთის ანულირება | - |
| **2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,280** |

ცვეთა და გაუფასურება

| | |
|---|---|
| **2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **-** |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი | **(68)** |
| ცვეთის ამოტრიალება | **-** |
| გაუფასურება | **-** |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(68)** |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი | **(66)** |
| ცვეთის ამოტრიალება | **-** |
| გაუფასურება | **-** |
| **2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(134)** |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,212** |
| **2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2,146** |

## 7. ძირითადი საშუალებები

| | მიწა | დაუმთავრებელი მშენებლობა | შენობა-ნაგებობა | სამედიცინო აღჭ. მანქანა-დანადგარები | ოფისის ინვენტარი ტექნიკა და ავეჯი | სატრანსპორტო საშუალებები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31.12.2019** | **8,301** | **-** | **5,465** | **23,679** | **1,474** | **-** | **38,919** |
| შესყიდვა/კაპიტალიზება | - | - | 329 | 949 | 92 | 386 | 1,756 |
| გადატანა საინვესტიციო ქონებაზე | - | - | (2,280) | - | - | - | (2,280) |
| ჩამოწერა | - | - | - | (332) | - | - | (332) |
| დაგროვილი ცვეთა | - | - | - | - | - | - | - |
| **31.12.2020** | **8,301** | **-** | **3,514** | **24,296** | **1,566** | **386** | **38,064** |
| შესყიდვა/კაპიტალიზება | - | 574 | 251 | 44 | 15 | 19 | 903 |
| ჩამოწერა | - | - | - | (3) | (2) | - | (5) |
| დაგროვილი ცვეთა | - | - | - | - | - | - | - |
| **31.12.2021** | **8,301** | **574** | **3,765** | **24,337** | **1,579** | **405** | **38,962** |

### ცვეთა და გაუფასურება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **31.12.2019** | **-** | **(556)** | **(16,768)** | **(775)** | **-** | **(18,099)** |
| მიმდინარე ცვეთა | - | (93) | (973) | (155) | (33) | (1,254) |
| დაგროვილი ცვეთა | - | - | - | - | - | - |
| **31.12.2020** | - | **(649)** | **(17,741)** | **(930)** | **(33)** | **(19,353)** |
| მიმდინარე ცვეთა | - | (91) | (1,173) | (135) | (36) | (1,435) |
| დაგროვილი ცვეთა | - | - | - | - | - | - |
| **31.12.2021** | - | **(740)** | **(18,914)** | **(1,065)** | **(69)** | **(20,788)** |

### საბალანსო ღირებულება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **31.12.2020** | **8,301** | **-** | **2,865** | **6,555** | **636** | **353** | **18,710** |
| **31.12.2020** | **8,301** | **574** | **3,025** | **5,423** | **514** | **336** | **18,174** |

## 8. მარაგები

| | **31.01.2021** | **31.01.2020** |
|---|---|---|
| საქონელი | 561 | 299 |
| მედიკამენტები | 87 | 128 |
| ნედლეული და მასალები | 66 | 48 |
| საწვავი | 3 | 9 |
| დაუმთავრებელი წარმოება | 3 | 3 |
| **სულ მარაგი:** | **720** | **487** |


*თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| სავაჭრო დებიტორული მოთხოვნა | 2,981 | 3,511 |
| გაცემული ავანსები | - | - |
| საეჭვო ვალების რეზერვი | (67) | (41) |
| სხვა დებიტორული მოთხოვნა | 6 | 6 |
| **სულ დებიტორული დავალიანება:** | **2,920** | **3,476** |

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| **ვადაგადაცილებული და გაუფასურების გარეშე** | **31.12.2021** | **31.12.2020** |
|---|---|---|
| | 1,652 | 2,306 |
| **ვადაგადაცილებული, მაგრამ გაუფასურების გარეშე** | | |
| ვადაგადაცილება 31-90 დღე | 779 | 701 |
| ვადაგადაცილება 91-180 დღე | 39 | 67 |
| ვადაგადაცილება 181-ზე მეტი | 511 | 437 |

## 10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| | 31.01.2021 | 31.01.2020 |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 121 | 411 |
| ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში | 1 | 14 |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 2 | 6 |
| **საერთო ჯამში:** | **124** | **431** |

## 11. მფლობელთა საწესდებო კაპიტალი

**ა) საწესდებო კაპიტალი-** საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის დაფუძნების დოკუმენტაციაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 11 266 ათას ლარს (11 266 ათას ლარს 2020 წლის 31 დეკემბერი).

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**ბ) დივიდენდები** - გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია „კომპანიის“ მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია „კომპანიის“ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს სტანდარტების შესაბამისად.

2021 წელს „კომპანიას“ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი არ აქვს.

## 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | **31.12.2021** | **31.12.2020** |
|---|---:|---:|
| სავაჭრო ვალდებულებები | 3,657 | 4,432 |
| თანამშრომელთა დარიცხული დანახარჯები | 424 | 463 |
| მიღებული ავანსები | - | - |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ | - | 154 |
| **სულ დავალიანება:** | **4,081** | **5,049** |

## 13. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის (2020 წლის 31 დეკემბერი) მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

## 14. გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულება

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| საწყისი ნაშთი | **941** | **819** |
| ფინანსური ინსტიტუტიდან აღებული სესხი | - | 158 |
| ძირის გადახდა | (288) | (175) |
| გადასახდელი პროცენტი | 41 | 180 |
| გადახდილი პროცენტი | (41) | (180) |
| კურსთა შორის სხვაობის შედეგი | (55) | 139 |
| **ჯამში:** | **598** | **941** |

| | საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის ვადა | ვალუტა | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|
| სს „საქართველოს ბანკი“ | 5% | 25.03.2024 | EUR | 598 GEL | 941 GEL |
| | | | | **598 GEL** | **941 GEL** |

სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

## 15. შემოსავალი მომსახურებიდან

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| სტაციონარი | 5,573 | 5,301 |
| კორონავირუსი Covid-19 | (5,859) 269 | 1,531 (229) |
| ქირურგია | 1,190 | 1,076 |
| შემოსავალი ტერმინალით | 839 | 718 |
| მშობიარობა | 486 | 453 |
| ამბულატორია | 208 | 225 |
| ანტენატალური | 79 | 86 |
| სამედიცინო მომსახურება | 98 | 77 |
| ენდოპროტეზირება | 3 | 12 |
| ზოგიერთი სოც. კატეგორიის პროგრამა | 32 | 11 |
| რეფერალური | 5 | 10 |
| ქიმიოთერაპია ჰორმონოთერაპია | 5 | 5 |
| სხვა რეალიზაცია | 2,929 | 3,119 |
| **სულ შემოსავალი** | **11,716** | **12,624** |


*თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12-დან 39 გვერდის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## 16. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| ძირითადი მასალების დანახარჯი | (2,897) | (3,780) |
| დაქირავებულთა გასამრჯელოები | (4,840) | (4,747) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (1,263) | (1,067) |
| ელ. ენერგიის ხარჯი | (337) | (187) |
| პაციენტის კვება | (128) | (138) |
| ბუნებრივი აირის ხარჯი | (120) | (126) |
| სანდასუფთავება | (48) | (61) |
| სხვა თვითღირებულების ხარჯი | (82) | (76) |
| **სულ თვითღირებულება** | **(9,715)** | **(10,182)** |

## 17. ადმინისტრაციული ხარჯები

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| დაქირავებულთა გასამრჯელოები | (1,504) | (1,417) |
| ოფისის ხარჯი | (101) | (326) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (238) | (256) |
| ქონების გადასახადის ხარჯი | (22) | (24) |
| საკონსულტაციო ხარჯი | (20) | (20) |
| კომუნიკაციის ხარჯი | (17) | (17) |
| საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები | (26) | (17) |
| მომსახურების ხარჯი | (18) | (4) |
| წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯი | (-) | (1) |
| მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი | (238) | - |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | (137) | (83) |
| **სულ ადმინისტრაციული ხარჯი** | **(2,321)** | **(2,163)** |

## 18. არასაოპერაციო შემოსულობა და ხარჯი

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| სადაზღვევო კომპანიების მიერ დაკორექტირებული თანხით მიღებული ზარალი | (188) | (106) |
| უსასყიდლოდ მიღებული მომსახურება | 173 | - |
| **სულ:** | **(15)** | **(106)** |

## 19. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| **ფინანსური შემოსავალი** | | |
| შემოსავალი იჯარიდან | 611 | 610 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | - | 83 |
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება | 285 | 9 |
| **სულ ფინანსური შემოსავალი:** | **896** | **702** |
| | | |
| **ფინანსური ხარჯი** | | |
| საპროცენტო ხარჯი | (41) | (180) |
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი | (13) | (472) |
| **სულ ფინანსური ხარჯი:** | **(54)** | **(652)** |
| **წმინდა ფინანსური ხარჯი/შემოსავალი** | **842** | **50** |

## 20. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

**სამართლებრივი პროცედურები.** საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგეს კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

**საგადასახადო კანონმებლობა.** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

## 21. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის შიგნით რისკის მართვის ფუნქცია ხორციელდება ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები), საოპერაციო რისკებზე და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანებია რისკის ფარგლების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ პოტენციური ზარალი აღნიშნულ ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და სამრთლებრივი რისკის მართვის ფუნქციის მიზანია შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა ამით მოხდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე შემცირება.

**ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები.** კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. მათი მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 124 | 431 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2,920 | 3,476 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **3,044** | **3,907** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 4,081 | 5,049 |
| მიღებული სესხები | 598 | 941 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **4,679** | **5,990** |

**კაპიტალის მართვის მიდგომა**

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა-სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ, შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკები წარმოიქმნება: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღავნელობა განსაზღვრავს მისაღები რისკების მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოვედღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმაა იმ შეთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი სამუშაო ვალუტისა (ლარი).

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | 31.12.2021 |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 123 | - | 1 | 124 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2,917 | 1 | 2 | 2,920 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **3,040** | **1** | **3** | **3,044** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 2,651 | 682 | 748 | 4,081 |
| მიღებული სესხები | - | - | 598 | **598** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **2,651** | **682** | **1,346** | **4,679** |

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | 31.12.2020 |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 417 | 3 | 11 | 431 |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 3,248 | 88 | 140 | 3,476 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **3,665** | **91** | **151** | **3,907** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 2,669 | 2,378 | 2 | **5,049** |
| მიღებული სესხები | - | - | 941 | **941** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **2,669** | **2,378** | **943** | **5,990** |

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი აქტივების/ვალდებულებების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე, ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

**საკრედიტო რისკი**

კომპანიას ეკისრება საკრედიტო რისკი, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას თანხის სრულად დაფარვას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | 1 წლამდე | 1 დან 5 წლამდე | 5 წლის შემდეგ | 31.12.2021 |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 4,081 | - | - | **4,081** |
| მიღებული სესხები | 305 | 293 | - | **598** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **4,386** | **293** | **-** | **4,679** |

| | 1 წლამდე | 1 დან 5 წლამდე | 5 წლის შემდეგ | 31.12.2020 |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 5,049 | - | - | **5,049** |
| მიღებული სესხები | 306 | 635 | - | **941** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **5,354** | **635** | **-** | **5,990** |

## 22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი

ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გასაგებად.

2020-2021 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული | 31-Dec-21 |
|---|---|
| ხელფასი | 150 |
| **სულ:** | **150** |

| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული | 31-Dec-20 |
|---|---|
| **მიღებული სესხი** | **68** |
| **სულ:** | **68** |

### 23. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 19 იანვარს.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

## *მმართველობითი ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

## *საქმიანობის შედეგების მიმოხილვა*

***შპს„ირისბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“*** (ს/კ 245 599 758) (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). იგი მდებარეობს ქ.ბათუმში და მისი იურ. მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, მაზნიაშვილის ქ., №18, ფაქტიური კი - ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. N 237.

### 1. *კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:*

კომპანია არის კერძო მფლობელობაში მყოფი, მრავალპროფილური სტაციონალური სამედიცინო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრს ძირითადი შემოსავლების წყაროებთან ერთად, დაწყებული სამეანო, კარდიოლოგიური და ქირურგიული მომსახურების უზრუნველყოფით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული დამფუძნებელი (100 %-ნი წილის მფლობელი და დირექტორი) ირის ბორჩაშვილი (პ/ნ 08001000234).

### 2. *კომპანიის განვითარების გეგმები:*

კომპანიაში დაგეგმილი პროექტები არ არსებობს. კომპანიის გრძელვადიანი გეგმაა კიდევ ერთი კლინიკის გახსნა და კადრების მუდმივი გადამზადება, როგორც ეს გათვალისწინებულია კომპანიის შიდა პოლიტიკით.

### 3. *კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:*

კომპანიასარგააჩნიაარანაირიკვლევები 2021წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### 4. *კომპანიას არ გააჩნია ფილიალი:*

### 5. *ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:*

#### *ფინანსური რისკის მართვა*

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

### *რისკების მართვის სტრუქტურა*

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

*საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო საქმიანობიდან.

*საკრედიტო რისკის გავლენა*

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

| | **საბალანსო ღირებულება** | |
|---|---|---|
| ლარი | **2021** | **2020** |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2,920 | 3,476 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 124 | 431 |
| **საერთო ჯამში** | **3,044** | **3,907** |

*ფულადის ახსრები და მათი ექვივალენტები*

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 124 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

*ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა*

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის “კომპანიისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

„კომპანია“ ყოველდღიურად იღებს ფულად სახსრებს თავისი მომხმარებლებისგან. ეს ფაქტი უზრუნველყოფს, რომ „კომპანიას“ მუდამ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები ფინანსური ვალდებულების მინიმუმ 60 დღეში დასაფარად. ზემოთაღნიშნული გარემოება გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ ზემოქმედებას, როგორიც არის სტიქიური უბედურება.

კომპანია დამოკიდებულია სახელმწიფო პროგრამაზე.

### *საბაზრო რისკი*

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

### *სავალუტო რისკი*

„კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას“ არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

### *მგრძნობელობის ანალიზი*

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

## *6. კომპანიის სესხები:*

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

| | საპროცენტოგანაკვეთი | დაფარვისვადა | ვალუტა | 2020 |
|---|---|---|---|---|
| სს „საქართველოს ბანკი“ | 5% | 25.03.2024 | EUR | 941 GEL |
| | | | | **941 GEL** |

სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სესხის მიზნობრიობა არის საბრუნავი საშუალებების ფინანსირება.

7. ***კომპანიის ბალანსზე არ ირიცხება დაუმთავრებელი მშენებლობა.*** კომპანია 2019 წლის 29 მაისიდან დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად სსკ-ს 158-ე მუხლის შესაბამისად ნებაყოფლობითი წესით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კომპანიაში დაიწყო მშენებლობა (შემდგომში იჯარით გასაცემი), რომელიც შემდგომ პერიოდში გამოყებული იქნება დღგ-ს დასაბეგრ ოპერაციებში და ამისათვის კომპანიამ დაიწყო მშენებლობაზე გამოწერილი საგადასახადი ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით დღგ ჩათვლა.

8. კომპანიაარ ფლობს***სხვა კომპანიების აქციებს*** და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

9. ინფორმაცია ***ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა*** და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს„ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2021წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის თვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 19/01/2023 წ.

დირექტორი:

------------------------

ირის ბორჩაშვილი

***მმართველობითი ანგარიშგება 2021წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით***

***საქმიანობის შედეგების მიმოხილვა***

***შპს„ირისბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“*** (ს/კ 245 599 758) (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). იგი მდებარეობს ქ.ბათუმში და მისი იურ. მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, მაზნიაშვილის ქ., №18, ფაქტიური კი - ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. N 237.

1. ***კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:***

კომპანია არის კერძო მფლობელობაში მყოფი, მრავალპროფილური სტაციონალური სამედიცინო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრს ძირითადი შემოსავლების წყაროებთან ერთად, დაწყებული სამეანო, კარდიოლოგიური და ქირურგიული მომსახურების უზრუნველყოფით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული დამფუძნებელი (100 %-ნი წილის მფლობელი და დირექტორი) ირის ბორჩაშვილი (პ/ნ 08001000234).

2. ***კომპანიის განვითარების გეგმები:***

კომპანიაში დაგეგმილი პროექტები არ არსებობს. კომპანიის გრძელვადიანი გეგმაა კიდევ ერთი კლინიკის გახსნა და კადრების მუდმივი გადამზადება, როგორც ეს გათვალისწინებულია კომპანიის შიდა პოლიტიკით.

3. ***კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:***

კომპანიასარგააჩნიაარანაირიკვლევები 2021წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. ***კომპანიას არ გააჩნია ფილიალი:***

5. ***ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:***

***ფინანსური რისკის მართვა***

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

### *რისკების მართვის სტრუქტურა*

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

### *საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო საქმიანობიდან.

### *საკრედიტო რისკის გავლენა*

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

| | **საბალანსო ღირებულება** | |
|---|---|---|
| ლარი | **2021** | **2020** |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2,920 | 3,476 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 124 | 431 |
| **საერთო ჯამში** | **3,044** | **3,907** |

### *ფულადის ახსრები და მათი ექვივალენტები*

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 124 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

### *ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა*

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის “კომპანიისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

„კომპანია“ ყოველდღიურად იღებს ფულად სახსრებს თავისი მომხმარებლებისგან. ეს ფაქტი უზრუნველყოფს, რომ „კომპანიას“ მუდამ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები ფინანსური ვალდებულების მინიმუმ 60 დღეში დასაფარად. ზემოთაღნიშნული გარემოება გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ ზემოქმედებას, როგორიც არის სტიქიური უბედურება.

კომპანია დამოკიდებულია სახელმწიფო პროგრამაზე.

*საბაზრო რისკი*

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

*სავალუტო რისკი*

„კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას“ არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

*მგრძნობელობის ანალიზი*

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

*6. კომპანიის სესხები:*

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

| | საპროცენტოგანაკვეთი | დაფარვისვადა | ვალუტა | 2020 |
|---|---|---|---|---|
| სს „საქართველოს ბანკი“ | 5% | 25.03.2024 | EUR | 941 GEL |
| | | | | **941 GEL** |

სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სესხის მიზნობრიობა არის საბრუნავი საშუალებების ფინანსირება.

7. ***კომპანიის ბალანსზე არ ირიცხება დაუმთავრებელი მშენებლობა.*** კომპანია 2019 წლის 29 მაისიდან დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად სსკ-ს 158-ე მუხლის შესაბამისად ნებაყოფლობითი წესით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კომპანიაში დაიწყო მშენებლობა (შემდგომში იჯარით გასაცემი), რომელიც შემდგომ პერიოდში გამოყებული იქნება დღგ-ს დასაბეგრ ოპერაციებში და ამისათვის კომპანიამ დაიწყო მშენებლობაზე გამოწერილი საგადასახადი ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით დღგ ჩათვლა.

8. კომპანიაარ ფლობს ***სხვა კომპანიების აქციებს*** და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.

9. ინფორმაცია ***ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა*** და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს„ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2021წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის თვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 19/01/2023 წ.

დირექტორი:
------------------------
ირის ბორჩაშვილი